

გიორგი ზარიძის დაბადების

110-ე წლისთავისთვის



გიორგი ზარიძე ქართული გეოლოგიის ღირსეული წარმომადგენელი და საქართველოში პეტროლოგიური სკოლის ფუძემდებელია. იგი იყო პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. იგი იყო აგრეთვე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული პეტროლოგიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ორი გეოლოგიური ჟურნალის – “Известия вузов” და “Советская геология” სარედაქციო კოლეგიის წევრი. გ.ზარიძე იყო საკავშირო მინერალოგიური საზოგადოების წევრი, სსრკ გეოლოგიის სამინისტროსთან არსებული მაგმური და მეტამორფული ფორმაციების კომიტეტის წევრი, მოსკოვის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების და აგრეთვე, საფრანგეთის, გერმანიისა და სერბიის გეოლოგიური საზოგადოებების წევრი. გ.ზარიძე აქტიურ პედაგოგიურ მიღვაწეობას ეწეოდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1952-1956 წლებში იყო აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, 1948-1960 და 1974-1978 წლებში ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის პეტროგრაფიის, მინერალოგიისა და გეოქიმიის კათედრას, ხოლო 1985-1992 წლებში - სპექტრული მეთოდებით კვლევის რესპუბლიკური ცენტრს.

ძნელია შეაფასო გ. ზარიძის წვლილი დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში. მისმა მრავალრიცხოვანმა შრომებმა, რომლებმაც დამსახურებული აღიარება მოიპოვა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პეტროლოგიური მეცნიერების განვითარებაში. გ.ზარიძის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური შრომები, რომლებიც მიეძღვნა მაგმური და მეტამორფული ფორმაციების შესწავლას, კავკასიის მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგიურ კვლევას და მაგმატიზმთან დაკავშირებულ მადანწარმოშობის საკითხებს. გ. ზარიძემ გამოაქვეყნა რიგი საკვანძო შრომებისა მაგმური ქანების წარმოშობის

ციკლორობის შესახებ; მან წარმოადგინა საქართველოს ტერიტორიაზე მაგმური ქანების კანონზომიერად თანმიმდევრული წარმოშობის მკაფიო სურათი.

1947 წელს გამოქვეყნდა გ. ზარიძის ფუნდამენტური ნაშრომი, მონოგრაფია "Закономерности развития магматизма в Грузии и связанные с ним рудопроявления". ამ ნაშრომმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კავკასიის მაგმური გეოლოგიის შესწავლაში. მან კრიტიკულად გააანალიზა არსებული გეოტექტონიკური შეხედულებები და შემოგვთავაზა ჰიპოთეზა, რომელიც სავსებით ეთანადება ლითოსფეროს ფილების ტექტონიკის თეორიას. იმ დროს, როცა ძალზე მწირი იყო მონაცემები დედამიწის მანტიისა და ტექტონოსფეროს აგებულების შესახებ, გ. ზარიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ენდოგენური პროცესების გლობალური განვითარების მიზეზს წარმოადგენს ბაზალტური საგების (ასტენოსფეროს) გაფართოება, რაც იწვევს მაგმური დინებების წარმოქმნას, რომლებიც გადაადგილდება დაძირვის (სუბდუქციის) ზონის მიმართულებით. ამ დინებებს მოძრაობისას თან მიჰქონდა მათზე "მოტივტივე" კონტინენტური მასები (ლითოსფეროს) ფილები, რომლებიც გადაადგილდებოდა სუბდუქციის ზონისკენ და განაპირობებდა ნაოჭა სისტემების წარმოქმნას. აღნიშნულ გლობალურ გადაადგილებებს უკავშირებს ავტორი მაგმურ პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვს კონტინენტური მასივების შეხებისას.

სამხრეთ საქართველოში, ლავებთან ურთიერთმონაცვლე ქვიშებსა და თიხებში, გ. ზარიძემ და ნ. თათრიშვილმა აღმოაჩინეს სპილოს კბილის ფრაგმენტი. იმავე უბანზე იქნა ნანახი უძველესი ცხენის ფრაგმენტები. ამ აღმოჩენების საფუძველზე, ლავების ასაკი პირველად იქნა დათარიღებული ფაუნისტურად. ყოველივე ამან სტიმული მისცა საქართველოში ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის განვითარებას.

გ. ზარიძემ და ნ. თათრიშვილმა დაადგინეს მეტასომატური გრანიტწარმოშობის სტადიური ხასიათი. მათი ნაშრომი პერტიტების გენეზისის შესახებ, სამართლიანად ითვლება მნიშვნელოვან წვლილად პეტროლოგიაში. გ. ზარიძემ დაასაბუთა გრანიტ-წარმოშობის პროცესში აქცესორული მინერალების განვითარება მათი ფორმირების ბოლო სტადიაზეც.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოსა და სამოციანი წლების დასაწყისში, გ. ზარიძემ ნ. თათრიშვილთან ერთად გამოაქვეყნა ორი მონოგრაფია “Магматизм Грузии и связанные с ним рудообразования” და “Петрография магматических и метаморфических пород Грузии”, რომლებმაც გეოლოგიური საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სამოციანი წლებიდან დაწყებული, გ. ზარიძემ გამოაქვეყნა თეორიული ხასიათის მრავალი შრომა, რომლებიც ეხებოდა: ზოგიერთი ვულკანური წარმონაქმნის გენეზისს, მეტამორფიტების, გრანიტოიდებისა და ენდოგენური მინერალიზაციის ზონების კავშირს ვულკანოგენურ-სედიმენტოგენურ ფორმაციებთან, მაგმატიზმის, მეტამორფიზმისა და ტექტონიკის ურთიერთკავშირის საკითხებს, მეტასომატიზმისა და მადანწარმოშობის პრობლემებს, კავკასიის უძველესი ბაზალტური სუბსტრატის პეტროლოგიას, პალეოზოურ ეპოქაში კავკასიონის მაგმატიზმისა და მეტამორფიზმის საკითხებს ლითოსფეროს ფილების ტექტონიკის თეორიის ჭრილში, კონტინენტებისა და ოკეანეების ენდოგენური ფორმაციების შესწავლასა და სხვ. მან მდიდარი ფაქტობრივი მასალისა და სხვადასხვა ქვეყნის პეტროლოგიური ობიექტების შესწავლის საფუძველზე, შეიმუშავა დედამიწის ენდოგენური ქანების ორიგინალური სისტემატიკა.

გ. ზარიძემ და ნ. თათრიშვილმა, ლითოსფეროს ფილების ტექტონიკის თეორიაზე დაყრდნობით, მოახდინეს გრანიტოიდების ტიპიზაცია.

გ. ზარიძეს გამოქვეყნებული აქვს მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგიის რამდენიმე სახელმძღვანელო (ქართულ და რუსულ ენებზე).

გ. ზარიძის მიერ ჩატარებულმა პეტროლოგიურმა კვლევებმა საფუძველი ჩაუყარა კავკასიის კრისტალური ქანების ინტენსიურ შესწავლას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გ. ზარიძის ნაყოფიერი შრომის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა თვითმყოფადი პეტროლოგიური სკოლა, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი,

გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ.

თამარ წუწუნავა